საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9840/01
17/09/2021

9840-01-2-202109171733

**შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“**
**მის:** ქ. რუსთავი, მ. კოსტავას გამზ., №23
**ელ.ფოსტა:** kupatadzemanana@yahoo.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილი 2021 წლის 26 აგვისტოს N15295 განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის რაიონში, სოფ. აღთაკლიაში, შპს „რუსთავი სთილ კორპორეიშენ კომპანის“ კუთვნილი მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის განცხადების მიხედვით, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“. გაცნობებთ რომ აღნიშნული წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ არა მე-12 მუხლს, არამედ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილს. ასევე, განცხადებაში აღნიშნულია, რომ სკოპინგის ანგარიში შემუშავებულ იქნა კოდექსის მე-5 პუნქტის შესაბამისად“. გაცნობებთ, რომ სკოპინგის ანგარიში შემუშავებული უნდა იყოს კოდექსის მე-8 მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი განცხადება საჭიროებს კორექტირებასა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსთან“ შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნული ეხება აგრეთვე სკოპინგის ანგარიშის პირველ და მე-2 თავებსაც;
- წარმოდგენილ სკოპინგის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით ვერ დგინდება და დაზუსტებას საჭიროებს ამჟამად საწარმოს ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა და არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების საკითხი. კერძოდ, დოკუმენტის შესავალ ნაწილში (გვ. 2) აღნიშნულია, რომ „საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული იქნება შემდეგი ნაგებობები“...“ მზა პროდუქციის საწყობი განთავსებული იქნება საგლინავი საამქროს აღმოსავლეთ ნაწილში“... „ძირითადი

დანადგარები უნდა ყოფილიყო ელექტრო-რკალური ღუმელები“...“დნობის პროცესის დასაჩქარებლად ჟანგბადის შეყვანა ხდება სადნობ ღუმელებში“. სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იყოს არსებული მდგომარეობის შესაბამისად და იძლეოდეს პროექტის ადეკვატურად შეფასების საშუალებას;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში 3 ერთეული, 3 ტ/სთ წარმადობის ღუმელის დამონტაჟების ნაცვლად მოხდა 4 წყვილი (8 ერთეული) ინდუქციური ღუმელის დამონტაჟება, რომელთაგან 4 მუშაობს, ხოლო 4 სარემონტო რეჟიმშია. დოკუმენტის თანახმად, აღნიშნული ღუმელებიდან 6-ის წარმადობაა 2 ტ/სთ, დანარჩენი ორის - 2,5 ტ/სთ. ხოლო ჯამური წარმადობა - 8,5 ტ/სთ-ს შეადგენს. სკოპინგის ანგარიშში არ არის დაზუსტებული, თუ რომელი დანადგარებია სარემონტო რეჟიმში, აგრეთვე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის თაობაზე, იგეგმება თუ არა გარემონტებული დანადგარების ექსპლუატაციაში შეყვანა. იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული იგეგმება, შეიცვლება ჯამური წარმადობა და ემისიებიც, რაც, შესაბამისად, გათვალისწინებული და სათანადოდ განხილული უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში;
- სკოპინგის ანგარიშში, რამდენიმე ადგილას წარმოდგენილია წინადადება „საქმიანობის ტერიტორია მდებარეობს გარდაბნის რაიონი, სოფელი აღთაკლია, ს/კ 81.06.21.453 და წარმოადგენს მის კუთვნილ ტერიტორიას“. აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს კორექტირებას;
- წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მე-4 თავში, 4.1. ქვეთავში აღნიშნულია, რომ „არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი უარყოფით ქმედებათა ხასიათს ატარებს და შესაბამისად მიუღებელია“, თუმცა აღნიშნულ ქვეთავში განხილულია მხოლოდ პროექტის განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებელი და სათანადოდ არ არის შეფასებული საქმიანობის განხორციელებით გარემოზე შესაძლო ზემოქმედების მასშტაბები. შესაბამისად, ბუნდოვანია, რას გულისხმობს არაქმედების ალტერნატივის „უარყოფით ქმედებათა ხასიათი“, რაც საჭიროებს შესაბამის დასაბუთებას; აგრეთვე, ვინაიდან სკოპინგის ანგარიში წარმოდგენილია უკვე არსებული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე, ბუნდოვანია დოკუმენტის 4.4. ქვეთავში საწარმოს „ტერიტორიის შერჩევის ალტერნატივების“ განხილვის საჭიროება;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაშორება საწარმოდან გამორიცხავს მასზე ზემოქმედებას“, თუმცა დოკუმენტში მითითებული არ არის, თუ რა მანძილით დაშორებული და რომელი ძეგლები იგულისხმება აღნიშნულ პარაგრაფში;
- სკოპინგის ანგარიშის 5.3.2. ქვეთავის თანახმად, ობიექტზე გათვალისწინებულია წყლის მარაგებისათვის განკუთვნილი 2 რეზერვუარის მშენებლობა (წყალმომარაგების სისტემისა და ხანძარქრობისთვის). თუმცა ამავე ქვეთავის თანახმად, „ტერიტორიაზე მოწყობილია რეზერვუარი მინიმალური მოცულობით 108 $მ^3$“. აღნიშნული საკითხი დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის 5.11. ქვეთავის თანახმად, „საწარმოს შემოთავაზებულ ადგილზე არ არის მიწისზედა ძეგლები. ასევე საწარმოს ფუნქციონირების დაწყებისთვის არ იწარმოება რაიმე მნიშვნელოვანი მშენებლობა, რადგან ის ძირითადად განთავსებული იქნება უკვე არსებულ შენობაში“. აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს კორექტირებას;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე